

## სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევები (კომპეტენციები):

### ზოგადი უნარ-ჩვევები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- უცხოურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული) ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარი;
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი.

### დარგობრივი უნარ-ჩვევები:

- ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა;
- ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; □ საერთაშორისო სამართლისა და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების ცოდნა;
- იურისტის პროფესიის ეთიკური ფარგლების ცოდნა;
- სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად სამართლის ყველა შესაბამისი წყაროს მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;

- დებატებში ჩართვის, განსხვავებული აზრის გაგებისა და სამართლებრივი საკითხების ანალიზის დროს საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
- სამართლებრივი დებულებებისა და დოკუმენტაციის შემუშავების უნარი;
- საჯარო დაწესებულებებში შესაბამისი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი;
- პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, კანონის უზენაესობის პრინციპის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი;
- წარმოდგენილ პირთა ინტერესის დაცვისას საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ მოქმედების უნარი;
- სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების მიღმა საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირების უნარი;
- პროფესიული საქმიანობის შესაბამის სფეროში სამართლებრივი ნორმების რეალიზაციისას აუცილებელი ნორმატიული და ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიების უნარი;
- იურიდიული ნორმებისა და სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზის უნარი;
- სამართლებრივი ნორმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ქმედების განხორციელების უნარ-ჩვევა;
- ფაქტებისა და გარემოებების კვალიფიკაციის უნარი;
- სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების და სხვა იურიდიული მოქმედებების განხორციელების უნარი;
- დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენის და პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის უნარი.